



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 22 სექტემბერი, 2017 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: Frontline club Georgia

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ევროპის ფონდი
2. ლაშა ტულუში - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, თავისუფალი არჩევანი
4. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
5. ნანა ფიროსმანაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
6. ნინო ხუხუა - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
7. რაისა ლიპარტელიანი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
8. ვიტალი გიორგაძე - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი

განსახილველი საკითხები:

- საქართველოს ეროვნული პლატფორმის მაღალი დონის კონფერენციის დღის წესრიგის დამტკიცება;
- მეოთხე სამუშაო ჯგუფის 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
- თომას ჯეფერსონის კვლევითი ცენტრის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის განხილვა;
- ახალი წევრის მიღების საკითხი;
- და სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად საბჭომ განიხილა საქართველოს ეროვნული პლატფორმისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი მაღალი დონის კონფერენციის დღის წესრიგის სამუშაო ვერსია, რომელიც მომზადდა ჯგუფის კოორდინატორებთან კომუნიკაციის შედეგად. რამდენადაც კონფერენციაზე განსახილველი საკითხების უმრავლესობა წინასწარ განსაზღვრული ვადის გადაცილებით იქნა გამოგზავნილი, ხოლო დონორმა ორგანიზაციამ¹, რომელთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად, დღის წესრიგის სამუშაო ვერსია მოითხოვა არაუგვიანეს 11 სექტემბრისა, სამუშაო ვერსიაში ძირითადად ის საკითხები იქნა შეტანილი, რაც იმ დროისთვის იყო ცნობილი. მიუხედავად ამისა, საბჭომ იმსჯელა ყველა შემოსულ წინადადებაზე და მიიღო გადაწყვეტილება ჯგუფებმა კიდევ ერთხელ შეაჯერონ პოზიციები და ჩამოყალიბდნენ 2-3 განსახილველ საკითხზე. ჯგუფის კოორდინატორები შეთანხმდნენ სამუშაო ჯგუფის შეხვედრისა ან/და Google ჯგუფების გამოყენებით დააზუსტონ განსახილველი საკითხები.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მეოთხე სამუშაო ჯგუფის 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმა. საბჭომ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დაამტკიცა წარდგენილი დოკუმენტი.²

ამასთანავე, პლატფორმის თავმჯდომარის ინიციატივით, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება პლატფორმის სტრატეგიის განსახილველად მორიგი შეხვედრა დაინიშნოს 4 ოქტომბერს.

¹ ყოველწლიური ერთობლივი მაღალი დონის კონფერენციის ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ფონდ ღია საზოგადოება საქართველოსთან.

² ოქმს თან ერთვის მეოთხე სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა

შემდეგ საკითხად დამსწრეებმა განიხილეს ორგანიზაციის: „თომას ჯეფერსონის კვლევითი ცენტრი“-ს მიერ დამატებით წარდგენილი ინფორმაცია და ხმათა უმრავლესობით ორგანიზაციას თანხმობა ეთქვა გაწევრიანებაზე.

შეხვედრის ბოლოს, საბჭომ განიხილა გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციის: „კავკასიის ახალგაზრდული კავშირის“ სააპლიკაციო ფორმა და ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დადებითად გადაწყვიტა პლატფორმაში მათი გაწევრიანება.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა